საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ც. მთავარ კომიტეტის ორგანი

ოთხშაბათი, ივლისი 20

1921 წ.

ფასი 500 მანეთი

# სოციალისტ-ფედერალისტი

რედაქციის მისამართი: დამფუძნებელი კრების ქ. № 11
ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 8000 მან. ცალი 500 მან.

განცხადება
სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო
იწვევს გამოცდილ პირს სტატისტიკოს-ინსპექტორის თანამდებობაზე. ცნობების მიღება შეიძლება ც. ს. ს. საინსტ.-საინფ. გ—ბაში (ბროსეს ქ. № 4). 53

## ტფილისი

კარგა ხანია რაც ტფილისი ბაზრობად არის გადაქცეული. საბჭოთა რეჟიმამდეც ისე იყო ტფილისის კარები ყოველმხრივ გაღებული, რომ ყველა მავნე, უსაქმური და „მყიდრობის“ მაძიებელი არხეინად დაბრძანდებოდა ჩვენ დედაქალაქის ქუჩებში და ისედაც მძიმე ატმოსფეროს უფრო ამძიმებდა. ასი-ათასობით მშიერი პირი, მავნე ხალხი, და შავი ზრახვები აირივნენ რაღაც მასსად, და ტფილისის ქუჩა სავსე არიეს. დღეს გაცილებით უარესი მდგომარეობა არის შექმნილი. მთავრობის გამოცვლამ იკეთი წარმოდგენები დაუშალა ყველას, თითქოს ყველა გზები გახსნილია, და ბასა... და გადაქცეულ საქართველოში ყველა შემოქრილები სურვილისამებრ, ათასგვარ მიზნების განსახორციელებლად. ეს მოხდა კიდეც. და დღეს ტფილისი ისეთ ქაოტიურ ქალაქად არის გარდაქცეული, რომ პირდაპირ საშინელია ის შესაძლებლობა, რომელსაც ეს გარეგნული ალუმეტყველება ჰფარავს. ვინ არ მოიყარა დღეს თავი ტფილისში? სპეკულიანტი, შარლატანი, შავრაზმელი, ქურდი, „დიდ რუსეთზე“ მეოცნებენი, უვარსკვლავო და ვარსკვლავიანი ქართველთმოძულენი, პერმის თუ ვორონეჟის სატეატრო დასები, ნაკიტოვკას ოპერეტა, კოინოელი „დელცები“ და სხ... ბაქო ერევან—კავკავის რაიონები რომ არ ჩავაგდოთ სათვალავში.

ყველა ესენი მედიდურად დაიარებიან, საბინაო განყოფილებაში კრიზისებს ჰქმნიან, და საერთოდ სპობენ ტფილისს, სპობენ ეკონომიურად, ეროვნულად ზნეობრივად.

რასაც კი მოხდება მათი ხელი, ყველაფერი ჩვენთვის საზარალოდ იქცევა, რადგან მათ თავში არასოდეს არ გაუვლია საქართველოს იდეას. და ამ „ხალხთა დიდ ჩამოსახლებას“ თუ შეიძლება მათ ეს საზოგადოებრივი ტერმინი უწოდოთ, შეუძლიათ ისეთი დიდი კრიზისების გამოწვევა, შეუძლიათ ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომელშიც ადამიანის გაჩენება ცხოვრება და ეს ადამიანობა კი რაიმე სახეს მიიღებს. ჩვენ [illegible] აღვინიშნავს ეს მოვლენა, პირდაპირ განცხადებასავით გავუკარით, რომ ვისმეს ყურადღება მიექცია ამ საშინელებისთვის, მაგრამ გამგონი არავინ იყო. და თუ ხან და ხან დღევანდელი ამგზნებელნი მიაქცევდნენ ყურს, ყველასთვის ისე, რის წინააღმდეგაც კი ეს ყვირილი ხდებოდა საჭირო. ჩვენ ტფილისის საკითხს ყოველთვის ეროვნული თვალსაზრისით უცქეროდით და ასევე განვაგრძობთ ცქერას. ტფილისი საქართველოს გული. ქართული რევოლიუციის მთავარი. რასაც განიცდის ტფილისი, იმას განიცდის საქართველოც. ტფილისის ქაოსში გადაგდება ეს საქართველოს წაშლაა, ტფილისის გადაქცევა უცხო, საეჭვო მოსახლეობის არენად, ეს ჩვენი ერის საწყალ ფურად გადაქცევაა, და ვინც ტფილისს არ „პატრონობს“, ის ერის გულ გრილი მესვეურია, ის პირდაპირ ერის ინტერესების დამწიხლავია. ამ საკითხს, ვიმეორებთ ძველი მთავრობაც აქცევდა ყურადღებას, მაგრამ პრაქტიკულად თითქმის არაფერი კეთდებოდა. ახალმა მთავრობამაც გადააქცია ეს საკითხი დღიურ ამოცანად. მაგრამ რა შედეგებს მიაღწევს, ძნელი გამოსაცნობია. ერთი რამ ცხადია: ტფილისის „განტვირთვა“ უნდა მოხდეს. მაგრამ მოხდება? ეს მეტად საეჭვოა. ტფილისში ისეთი აპარატებია შექმნილი, რომ მეტად სკეპტიკურ აზრებს გვიღვიძებს მათ მიერ ამ საკითხის ასრულება.

ძველად ეს საკითხი მილიციონერ-კომისრების შემოსავლის წყარო იყო და წყარო ფრიად დიდი და ნაყოფიერი. გვგონია რომ დღესაც არ მოხდება სასწაული, და ერთგვარ „მფარველობას“ და „დოკუმენტების“ ფაბრიკაციას გადაეშლება საიმედო ასპარეზი. მით უმეტეს, რომ [illegible] № 40 დადგენილების „ადრესატები“ მიენდობათ იმ ხალხს, რომელნიც ტფილისის ამ საკითხს სულ სხვა თვალით უცქერიან. ამ მხრივ ვაფრთხილებთ საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტს, რომ საქმის ასრულება სანდო ხელს გადასცენ. თორემ დადგენილება დარჩება ოქმში, და ტფილისი კი კვლავ დარჩება იმ ტკბილ საჭმელად, რომელსაც აურაცხელი ბუზი ახვევია, თან სჭამს და თან აბინძურებს კიდეც. არსებული მდგომარეობა უსათუოდ უნდა მოისპოს, პირდაპირ გაძნელდა ყოფნა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პურისა და ბინის თვალსაზრისით უნდა ეს დადგენილება გატარდეს მთელი სისასტიკით. მოქალაქეებს პირდაპირ ნერვები მოუშალა საბინაო განყოფილების აგენტების დაუსრულებელმა სიარულმა. ვისთვის ხდება ეს ამოდენა სახლების აღრიცხვა, ვინ მოდის ტფილისში ასე თავ-გადადებით, ვის მოაქვს ტფილისისთვის სიკეთე? მოდიან ვიღაცეები, რომლებიც საქმეებისათვის, სადღაც მფარველობას ჰპოულობენ მ სპინძლებს ეძიებიან, დაუპატიჟებელი სტუმრები კი ნადიმობენ „[illegible]“. ვნახოთ რას მოგვიტანს მოქმედი ნათქვამი დადგენილება, იმას კი ველოდებით, რომ რევ. კომიტეტი რამდენადაც მეტ უნარს გამოიჩენს ამ მხრივ, რამდენადაც მალე გასწმენდს ტფილისს მოზღვავებულ უცხოელებისგან, რამდენადაც ტფილისს ჩამოეცლება ეს უცხო ქაოსი, იმდენად დაწყნარდება ტფილისი მცხოვრები, იმდენად თავისუფლად იწმინდება საქართველოს დედა-ქალაქის გული, და თვით საბჭოთა ძალის არსებობისთვის ამას ექნება ფრიად დიდი მნიშვნელობა.

ძველი „როგატკები“ არც ისე უაზრო იყო, როგორც „Правда-Грузии“-ს ჟურნალისტებს ჰგონიათ. რაც მალე აღადგენენ ახალ „როგატკებს“ მით უფრო მეტს მოიგებენ დღევანდელი ცხოვრების მეთაურნი.

ჩვენ ველით ტფილისის განწმენდას, და რათაც უნდა დაჯდეს, ეს საქმე უნდა წესიერად დაგვირგვინდეს.

დღევანდელი ტფილისი საშინელია.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

## შიო ალექსის ძე ჩიტაძე

2

შიო ალექსის ძემ უნივერსიტეტის სწავლა დაამთავრა დიდის ქება-დიდებით, მის შემდეგ, იგი იქვე კიევის ერთ ქალების გიმნაზიაში იქმნა გიმნაზიის დირექტორად დანიშნული.

ამის შემდეგ შიო ჩიტაძემ ცოლიც მალე შეირთო, მეუღლე მათი აღმოჩნდა სამეგრელოთი მანდილოსანი და შესაფერი ადამიანი, რომელმაც შიო ჩიტაძის ცხოვრების პირობებს კარგი წამალი დასდო ამიტომაც შიო ჩიტაძე თავის თანამდებობის ასპარეზზე უფრო დაწინაურდა.

სხვა და სხვა ცნობებით ვიცით, რომ კიევში, გიმნაზიის მოწაფეთა წინაშე, მას თავისი საქმე ჩინებულად ეჭირა და მან შეგირდებს ისე შეაყვარა თავი და ისე მოინადირა მათი გული, რომ ყოველი მოწაფე შიოს დიდი პატივისცემით უმზერდა და ყველა მოწაფე მას სიხარულით უმზერდა და უსმენდა ყოველ რაიმეს დარიგებას და რჩევას გაკვეთილების შესწავლისთვის.

შიო ჩიტაძე, რომ ასეთი საყვარელი პირი იყო მთელის გიმნაზიის მოწაფეების, ეს გარემოება მთელმა კიევის ხალხმაც იცოდა და ამიტომ ესენიც მას ეპყრობოდნენ დიდის პატივისცემით და თავაზით მისი პატივისცემა და თავაზი ისე იყო იქ ამაღლებული, რომ მთელი საუკეთესო ნაწილი რუსის საზოგადოებისა დიდის უღრესობით აფასებდა შიო ჩიტაძის შრომას და ყველა მათგანი მოხარული იყო, რომ მათ შვილებს ასეთი კარგი ენერგიული მზრუნველი ჰყავდათ.

შიო ჩიტაძეს ენერგიული მოქმედების ცნობები ჩვენშიც ხშირად ისმოდა და ყველა ქართველი აღტაცებული იყო მით, რომ შიო ჩიტაძე ასეთი კარგი, გონიერი და სახელოვანი მშრომელი რუსეთშიო. ეს ღირსება შიოსი ყველას ახარებდა და ასიამოვნებდა, ვინაიდგან ბევრმა იცოდა ის საშწუხარო ამბებიც. თუ ამისი ძმა გონიერი გოგია როგორ დაიღუპა სემინარიის რექტორის ბოროტებით.

მართალია შიო ჩიტაძე ტფილისში არ იყო, მაგრამ როგორც ნათქვამია ქართულად: მისი წილი ღმერთი აქ ტფილისში იყო. მისმა ენერგიულად მოქმედების ცნობებმა ისე იწყეს ქართველებში გავრცელება და აღორძინება, რომ ქართველები მალე შეეჩვივნენ მის ნატვრაში, რომ უკეთესი იქნება, რომ ჩვენი საყვარელი შიო თავის სამშობლო ქვეყანაში იყოს და შრომობდისო.

ამ აზრებს ყველა ქართველი დიდის სიყვარულით იზიარებდა და ყველა ნატვრას აცხადებდა, რომ შიო ჩიტაძე თავის სამშობლოში დაბრუნებულიყო, ამას მცირე ხნის შემდეგ, ტფილისის ქართველ გიმნაზიაში განთავისუფლდა დირექტორის ადგილი სხვა და სხვა პირთა რჩევით მოწინავე სკოლის გამგეობამ კიევში შიო ჩიტაძეს მიმართეს და დაავალეს საქართველოში ჩამოსვლა და ხსენებულ გიმნაზიის თანამდებობის მიღება.

ამ დავალების დაკმაყოფილება შიო ჩიტაძეს ერთობ ემძიმა, ვინაიდან, მას კიევის საზოგადოება ადვილად არ დასთმობდა და არ გამოუშვებდნენ, ეს ასეც იყო და როცა ამის ამბავი იქ შეიტყვეს, იგინი ამაზედ დიდათ დაღონდნენ, მაგრამ რას იზამდნენ, ვერაფერს გახდებოდნენ, უნდა შერიგებოდნენ.

თვით შიოსაც ძლიერ ემძიმებოდა ამ დავალების შესრულება, მაგრამ რას იზამდა, თუ ერთის არჩევა, ან უცხოელების პატივისცემა და შინაურების წყენა, ან შინაურების პატივისცემა და გარეულებისაც თავაზი. რა უნდა ექმნა, სამშობლო ქვეყნის დაცვა ლიბას ზურგი ვერ შეუქცია და ქართველებს მალე ძმოსწერა თანხმობა და სურვილი ახალ თანამდებობის მიღ ბაზედ.

ამ თანხმობამ ქართველი საზოგადოება დიდათ გაახარა და ყველა იმ იმედს მიეცა, რომ ეხლა კი ჩვენი ქართველი გიმნაზიის საქმე ფეხზედ დადგება, გიმნაზიის საქმეც წინ წავა, ამას ფიქრი აღარ სჭირიაო. მოკესწარით იმასაც, რომ შიო ჩიტაძე დაბრუნდა თავის საყვარელ სამშობლო საქართველოში და დიდის ხალისით მიიღო თანამდებობა.

ამ გარემოებას მთელი ქართული ერი სიხარულით შეხვდა და ნამეტნავ სკოლის გამგეობა და თვით სკოლის მოწაფენიც, ყველა რაღაც სიამოვნებას და სიხარულს გრძნობდა და უმთავრესად კი იმის იმედი, რომ დღეის შემდეგ ჩვენი სკოლის საქმე უკეთ წავაო.

შიო ჩიტაძემ გაამართლა ყველას იმედები და იგი აღმოჩნდა იგივე შიო ჩიტაძეთ კი არა, როგორც ის წინეთ იყო არამედ იმაზეთ გაცილებით ახალი უკეთესად. წინეთ შიოს ეჩვენოდა ახალგაზრდური გამოცდილება ნამეტნავ სურვილი წიგნების კითხვაში და მათი აზრების გავრცელებაში დიდი გატაცება.

ახლა კი შიო ჩიტაძე ისეთი აღარ აღმოჩნდა. ეხლა შიოს შეემჩნია ღრმად დაკვირვება ჩვენს ცხოვრებაზე. ნამეტნავ პოლიტიკურს ვითარებაზე და ამას გარდა რუსულ ლიტერატურასა და ნამეტნავ 60 წლების რუსულ მწერლების ნაწერებზედაც სულ სხვა სალი და ნათელი შეხედულება, რაც საყურადღებო იყო ბევრისათვის მხრით.

რაც შეეხება ქართული მწერლობის საქმეს, რაშიაც იგი აღმოჩნდა საკმარისათ მომზადებული და გაცილებით დაწინაურებული წინანდელს აზროვნებაზე ბევრად უმჯობესი, ცხადათ გამოსჩანდა, რომ ჩიტაძე იგი ცდილა და უნივერსიტეტში სწავლის დროს, მას თავისი დრო სხვაფრივადაც სასარგებლოთ გამოუყენებია, მას გარდა, რომ იგი უნივერსიტეტში კარგათ სწავლობდა, უმეცადინია და იმავე დროს შეუსწავლია კარგად აი რა:

მთელი რუსული ახალი მწერლობა ბელინსკიდამ მოყოლებული 1870 წლამდის და მათი იდეიაც ჩინებულად გადახედა, ამას გარდა გაეცნო კარგად რუსული იდეიური ჟურნალი სოვრემენიკი, რომლის მეთაურიც 1863 წ. ითვლებოდა ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი და სხვები ეცნო ჟურნალი „რუსკოე სლოვოს“ რომლის მეთაურიც გახლდათ დირპისარევი, ზაიცევი, ველიბოვსკი და სხვანი. ასევე გაეცნო ჟურნალ „ოტეჩესტვენი ზაპისკები“ და ისევე სხვა ასეთი აზრიანი ჟურნალები და მათი იდეიაც, რაც განსაკუთრებული იყო ყველასთვის.

ერთი სიტყვით მოკლეთ ითქმის, რომ შიო ჩიტაძე აღმოჩნდა ევროპიულად მომზადებული და ღრმათ განათლებული კაცი და მასთან დიდი მოქალაქე და გულმტკივნეულად შვილი თავის სამშობლო ქვეყნისა.

ჩვენდა სამწუხაროთ, ასეთ მომზადებულს კაცს, თავის ახალ თანამდებობაც კი არ დახვდა შესაფერის ღირსებით და წესებიც მოუწყობელი ეს გარემოება მისთვის მეტად მწარე იყო და აუტანელი, მაგრამ რას იზამდა, არასოდეს ყველა გარემოებას უნდა შებრძოლებოდა. ამას ავალებდა სამშობლო ქვეყანა და მისი სიყვარული.

სკოლის მოწაფენი დახვდნენ მეტად გალაღებულნი, მათ ემჩნეოდათ დიდი შეუპოვრობა და სიზარმაცე, მათში კარგი არაფერი იყო გავრცელებული, არც წიგნების კითხვა არც კრებების გამართვა, არც საუბარი და მეცადინეობა პოლიტიკურად და ეკონომიურად განვითარებაზედ.

ამიტომაც შიო ჩიტაძეს ასეთ მოწაფეებთან მოუხდა დიდი შრომა და მეცადინეობა, დიდი ენერგიის დახარჯვა, რომ ეგენი მათში შეეტანა ახალი წესები სწავლა განათლების პატივისცემისა, წიგნების კითხვა, საქართველოს მამულისშვილობა და ქართველი ერის ცხოვრების და ქართული მწერლობის ღრმათ შესწავლა.

შიო ჩიტაძე ყველა ამიტომ თვის მოწაფეებს იგი მკაცრათ შეება, თავის ნიჭიერის მოქმედებით და შრომით მთელი გიმნაზიის მოწაფეებიც სულ აიყოლია. იგინი სულ გამოსცვალა და თითქმის ყველა მოწაფე თავისებურათ გადააკეთა, ამ გადაკეთებამ დაბადა სკოლის მოწაფეების ახალი სული და მისი კარგი გონიერი მოწაფენი.

მართალია შიომ სკოლის მოწაფენი დაიმორჩილა და იგინი დააყენა კარგს გზაზედ, რაც მისთვის ეს ჯაფა მისთვის არ გახლდათ იაფი და ადვილი, მაგრამ სად რას გაეწყობოდა. მოწაფეებზე უფრო მწვავე პირობები იყო მასწავლებლთა საქმენი.

მასწავლებლები იყვნენ ხანში შესული კაცები, რომელთაც სკოლაში დიდიხნის შრომა და უნარი ჰქონდა დაღებული, სულ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ამიტომაც შეგირდებს ამ ძველი მასწავლებლების აღარაფერი მორიდება ჰქონდათ, მორიდების გარდა მოწაფენი მასწავლებლებს სულაც არ ეპუებოდნენ და ყურადღებასაც არ აქცევდნენ.

ამათში ორში ერთი უნდა დარჩენილიყოს, რასაც თვით შიო ჩიტაძეც ლაპარაკობდა ხოლმე გულ-ახსნით, იტყოდა ხოლმე:

სკოლა დაღუპვის გზაზედ სდგას, აქ ორში ერთი უნდა მოხდეს, ან სკოლა უნდა დაიღუპოს და მის მაგიერ, რომ სკოლა არ დაიღუპოს, მაშინ მასწავლებლები უნდა გამოვდევნოთ, იგინი უნდა იქნენ დათხოვნილები სკოლიდამ, ვინაიდან ამ მასწავლებლების მორიდება შეგირდებს აღარ აქვსთ: ის რა სკოლა უნდა იყოს, სადაც მოსწავლეს თა-

ვის მასწავლებლის მორიდება არ ექმნება. მაშინ იქ კარგი ალარაფერი გაკეთდება, ამიტომ არის აუცილებლივ წამალი უნდა დაედოს რამე და მით ეშველოს საქმეს.

აქ ერთი მძიმე საქმე და უბედურება აი რა გახლავსთ, რაც საყურადღებო უნდა იყოს ქართველის მშობლებისათვის. აწინდელი მასწავლებლები აქ, ამ სკოლაში დაბერებულან თითქმის, უმსახურნიათ კარგად და ერთგულად, ხოლო რაკი დროს მიღწეულან, ხანში შესულან, მათი სხეული დადალულა და ამ დაღალვას გამოუწვევია მათი სიმჩატე და უგულებლობა, მის გამო მათი მოწაფენიც გალაღებულან, ამისაგან დამკვიდრებულა სკოლაში მასწავლებელთა და მოსწავლეთა შუა დიდი უგულობა, გულ-გრილობა, მოწაფის გალაღება და სხვაც ბევრი ასეთი, რაც სკოლისთვის კარგი არ უნდა იყოს.

ახლა ამდენი ხნის მასწავლებლები, ოდესმე ამ სკოლაში ჩინებულათ შესრულებულნი თავის სამსახურისა, სად მიადგნენ, სად წავიდნენ, ამათი ასე დამცირება და იქამდის მიყვანა იქმნება დიდი უბედურება და მთელი ქართველი ნაციის სამარცხვინო საქმენი ქართველ ერში, რომ ეს სამარცხვინო თავს მოსაჭრელი საქმე არ მოხდეს, მაშინ ჩვენ უნდა ვილონოთ, საქმეს უნდა ეშველოს რამე და აქ არც სკოლა დაიღუპოს და არც მასწავლებლები დაიჩაგრონ უსამართლოთ.

მცირე ხანს შემდეგ შიო ალექსის ძე ამ საქმის მოწესრიგებას შეუდგა, მის ჭლელში ჩაება და დაიწყო მასზედ მუყაითათ შრომა, რაშიაც მას ბევრნი თანაგრძნობნი და პატივისმცემელნიც აღმოუჩნდნენ, ენერგიულმა კაცმა საქმე ისე დაატრიალა, რომ ერთ დროს, ამას იგი თავის დროისვე მოესწრობოდა და სკოლის და მასწავლებელთა საქმეც კარგის პირობათ გათავდებოდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ამ მძიმე საქმის მოწყობა მალე არ მოხდებოდა, მასში დიდი დრო გაივლიდა, ამიტომ შიო მაინც გულს არ იტეხდა და იმედს არ ჰკარგავდა.

ამიტომაც შიო ჩიტაძემ თავს იდვა ქართველ შეგირდებში შრომა და ქადაგება, ქართველი შეგირდის სრულიათ გადაკეცება, გადახალისება მათი, უნდა ითქვას ისიც, რომ შიო ჩიტაძე ისეთი გონების და ძლიერი ცნობის კაცი გახლდათ, რომ შეგირდების გადახალისება მას უსათუოთ ხელდებოდა, საქმეს მოწყობა, ამიტომაც იყო, რომ იგი ამ შრომაშიც დიდის სიყვარულით და ხალისით ქართველ მოწაფეებში შიო ჩიტაძემ გამოიჩინა გადამეტებული მხნეობა, სასწავლებლების ღრმა ცნურვა და ცოდნა, მოწაფეთა აღზრდის ვითარება და მათი აღზრდის ფსიხის კარგათ ცოდნაც.

გონიერმა მამულის შვილმა და ჭკვიანმა პედაგოგმა ქართველ მოწაფეებზედ დიდი ზეგავლენა მოახდინა, სკოლის მთელი მოწაფენი მან მალე დაიმორჩილა, იგინი ისე გადიშორა,—ისე აიყოლია, რომ იგინი სრულიათ გადახალისდენ და გადაკეთდენ. შიო ჩიტაძის ნატვრაც ეს იყო, ამის გზაზედ იდგა იგი და მხოლოთ ეს ჰქონდა სანატრო საქმეთ გახდილი. მადლობა ღმერთს, შიო ჩიტაძე ამასაც მოესწრო მით იმედი მიეცა მას, რომ ეხლაკი სკოლის საქმე გამოკეთდება და მისი არსებობის საქმე მშვიდობით გათავდება და დაწინაურდება.

მოკლე დროის განმავლობაში, ქართველ მოწაფეებში, შიო ჩიტაძემ სასტიკათ მოსპო ქეიფობის მიმდევრობა უაზროთ და უადგილოთ ნადიმების და ლხინების მოწყობა. მოსპო შეგირდებში ყველა ნაირი თამაშობა და ყომარბაზობა, ანუ კარტოჟნიკობა. ამაების მოსპობას მალე მოჰყვა მათში ლოთობის მოსპობაც და სხვა.

ამის მაგიერ, შიო ჩიტაძემ ქართველი მოწაფეთა გულში შეიტანა და დანერგა ქართველი მამულიშვილები, საქართველოს სიყვარული, ქართული ენის მწერლობის და ისტორიის დიდი პატივის ცემა და სხვაც ბევრი ისეთნი, რაც მაშინ ქართველ შეგირდებში სულ დაცემული იყო და ალგვილი.

ასეთს სამსახურის გარდა, ქართველ შეგირდებს, არც მსოფლიო შორს მხედველობის ზრუნვა მოაკლო, ამ გარეშნოეწისთვისაც შიო ჩიტაძე დიდად

შრომობდა და ქართველის მოწაფეებს უნერგავდა დიდს პატივისცემას და ღრმა სიყვარულს ევროპის ერთა საჭირო მეცნიერებისა და ფილოსოფიაზედ საქმე ისე მოეწყო, რომ თბილისში, ქართული გიმნაზია გარდა პირველ გიმნაზიისა, იგი ყველა გიმნაზიებზედ მაღლა მდგარათ აღმოჩნდა.

ვიტყვით პირნათლათ, რომ ქართული გიმნაზიის დაწინაურება ბევრ ჩვენს მტერმოყვარეებს დიდათ შურდა და წინეთ, როცა ქართულს გიმნაზიაში სარევიზიოთ რევიზორები მოდიოდნენ, იგინი ქართულ გიმნაზიის უძლურს მდგომარეობას უფრო აუბედურებდენ და რეკდენ მის არსებობის საქმეებს, რომ ეგები ამ მტრობით ქართული გიმნაზია უფრო მალე დამხობილიყოს და მოსპობილიყოს.

რუსის მთავრობას იმიტომ სურდა ქართული გიმნაზიის მოსპობა ან ხელში ჩაგდება, ან როგორმე დამხობა მისი რომ ეგები მისის საშუალებით მოსპობილიყო და აღარ სწოდებოდა მას „ქართული გიმნაზია“ ეს იყო სულ მათი გულის გასახეთქი და მოსასპობი საჭიროება.

ასეთის მტრობით რუსები ბევრნაირათ მეცადინეობდენ და ნამეტურ სკოლების უფროსი მზრუნველი იანოვსკი. ამათ რომ ვერასფერი მოახერხეს და ქართულს გიმნაზიას ძირი ვერ გამოუთხარეს, მის მერე იანოვსკიმ მტრობის გეგმა შეიცვალა და მან სულ სხვა ახალი ბოროტი გზა აირჩია. ეს გზა და კვალი რუსეთის მთავრობის ბოროტებისა იყო შემდეგი გველობა და ეშმაკობა.

წინეთ თუ მზრუნველი შიო ჩიტაძეს ქართული გიმნაზიის გამო მგლური თვალით უყურებოა, ბოლოს ეს გეგმა შეიცვალა და შიო ჩიტაძესაც კარგის თვალით დაუწყო მზერა და მეგობრობაც კი, ასეთის ოსტატობით მან მოიწადინა შიო ჩიტაძის თავისაკენ გადაბირება და აქისი მოცილება ქართულ გიმნაზიიდან და სადმე რუსულ გიმნაზიაში გადაყვანას, რის საშუალებითაც ქართული გიმნაზია აუცილებლივ დაემხობოდა.

იანოვსკი სირცხვილმა არც აცივა, არც გააცხელა და ერთ დროს შიო ჩიტაძეს შეაძლია უფრო უკეთესი ალაგი და ჯამაგირიც მეტი, მაგრამ არა იქმნა რა, შიო ჩიტაძესგან მან უარი მიიღო ასე: მე სამშობლოში იმიტომ ჩამოვედი, რომ ვემსახურო ჩემი სამშობლო სკოლის ბედს. მე კიევში უფრო უკეთესი ადგილი მქონდა, მაგრამ იქ არ დავრჩი, რადგანაც ჩემი სამშობლო უფრო ძვირფასია ჩემთვის, ვიდრე კაი სამსახური და დიდი ჯამაგირი.

იანოვსკიმ ამის შემდეგ ბევრჯერ სცადა შიო ჩიტაძის გადაბირება და გადაყვანა, მაგრამ ვერა ღონისძიებით ვერ შესძლეს და ვერ მოახერხეს, შიო ჩიტაძეს მძლავრს მამულიშვილობას ვერაფერი დააკლეს. ამათი ცდა ყოველთვის უნაყოფოდ რჩებოდა, რაც რასაკვირველია ბოროტებასაც სძულდებოდა, როგორც თვით ქართული გიმნაზიის არსებობა, ისევე თვით გონიერი შიო ჩიტაძეც.

ბოროტებამ იქამდის მიაღწია, რომ შიო ჩიტაძეს ისე დაუწყეს დალოლიავა, რომ თვით იანოვსკიმ რუსეთში იკადრა წასვლა და ჩიტაძესთვისკი უნდა მიეცათ მთელის კავკასიის სკოლების მზრუნველობა, მაგრამ ვერც ამითი მოხიბლეს შიო ჩიტაძეს გული და სული.

იანოვსკი დაელოლია ისე, რომ ერთი ლაპარაკის დროს ესეც კი უთხრა: შენი მეუღლე რუსის ქალია, მასთან გონიერი ადამიანი, იმასაც დიდი, ანუ თავის შესაფერს ალაგს მივსცემთ და თქვენც ისევე როგორც თქვენი ოჯახის საქმე ერთი ათათ განაკარგებს. ამიტომ იმედია, რომ შენ ჩვენს სამსახურში გადმოხვალო.

შიო ჩიტაძემ მოისმინა მზრუნველის დაპირებანი და მას გამო დიდი მადლობა უთხრა ასე: მე დიდი მადლობელი ვარ თქვენი და თქვენი ჩემდამი პატივისცემის და თავაზის, ასევე დიდათ გმადლობთ ჩემი მეუღლეც, მაგრამ მოგახსენებთ იმასაც, რომ მე ჩემი სამშობლო ქვეყნის წინაშე სამსახური ისეთ ძვირფას განძათ მიმაჩნია, რომ ვერც მე და ვერც ჩემი მეუღლე, თუმცა იგი რუსის ქალი გახლავსთ, მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენ ვერ დავსთმობთ ვე-

რასფერს შემთხვევაში ჩვენი სამშობლო სკოლის სამსახურს ამიტომ პატივცემულო მზრუნველო, გიცხადებთ კვალათ დიდს პატივისცემას და განუსაზღვრელს მადლობას.

ასეთი მადლობა და უარი მოისმინა იანოვსკიმ და შიო ჩიტაძეს უთხრა ასეთი სიტყვა:

შენა ყოფილხარ, მეტათ ცხარე ქართველი, მე იმედი მქონდა, რომ შენ, რომელსაც ცოლათ რუსის ქალი გყავს, მის საშუალებით, ჩვენს ხათრს შეინახავდი და ჩვენს სამსახურში გადმოხვიდოდი, მაგრამ არა, ეს ასე არ მოხდა.

შენა ხარ ისეთი ცხარე და ერთგული ქართველი, რომელსაც მოგიხმარია თვით თქვენი მეუღლე რუსის გონიერი ქალი და არა თქვენ მიუმხრიხართ მას. რაკი ასეა საქმე და არა გსურთ ჩვენი სიკეთე და სამსახური, რა გაეწყობა დარჩით აგრე, მაგ სამსახურში.

ზ. ქ.

## პატრიოტიზმის სახელით

(გაგრძელება)

არის თუ არა გავლებული ძაფი „ცისფერ ყანწების“ მხატვრულ შემოქმედებაში? მე ვამტკიცებ, რომ თანადროულ ქართულ პოეზიაში (კერძოთ) ცისფერყანწების მხატვრული მზერა ძალოვნად ეროვნულია.

საჭიროა განმარტება.

ეროვნულ სახეობის მოცემა არ შეიძლება ეროვნულ ყოფის (быть) დახატვით. მხატვრულ ქმნაში უნდა გადატყდეს ეროვნული რაობა (сущность, бытие), სული.

წინაღმდეგ: პირველ შემთხვევაში პანოპტიკუმს მივიღებთ, რაც პოეტურ მძლეობას ვერ გამოადგება.

სწორედ გაგებული ეროვნულ წრეში არის მოქცეული მთელი „ცისფერი ყანწების“ პოეზია.

ამ წრეში არის გამართული საქართველოს წარსულის თუ აწმყოს პრობლემა. გრ. რობაქიძის სიტყვის სტიქიაში უკვე არის პრობლემატიური წერტილი, სადაც მუსიკა და ქართული ინტელექტი ხვდებიან ერთმანეთს.

ამ ინტელექტში გადის და იტეხება საქართველოს ტრაგიული, თუმც შეუცნობელი რიტმი არის მზით დამწვარი, მაგრამ არა დახვეული.

იგი ხაზია მოუფულში გადაგდებული, ამიტომ: ვერ სცნობს ბოლოს.

ამ რიტმში არის გაქცევა თვისგან, რომ ისევ დაუბრუნდეს და წაიღოს იგი უცნობ ორეულთან პირველი უნდოა, მეორე სანახავად სასურველი. საუკუნეთა ფარდების გადაღმა ეძიებდა საქართველო მსგავს თვისას, რომელიც უფრო საყვარელი იყო, ვიდრე თავისი თავი. გიორგი საააძე საქართველოს პრობლემაა ამ მხრივ. ბოლოს და ბოლოს იგი საქართველოს სარკეა.

გრიგოლ რობაქიძეს უყვარს გიორგი საააძე, რომელნიც საქართველოს მისტიკაა.

ამ მისტიკით დატანჯვა გრიგოლ რობაქიძის მახასიათებელია. საყვარელთან ეჭვით მისვლა არის უმწვერვალესად ტრაგიული, ნიშანი უძირო განცდის.

მე მიყვარს შენი გამოხედვა. ძველი: მეახური მზის სინელეში შოთას სიტყვით რო მოესხურა. მაგრამ ხედავდე: საააძე ლანდივით მიდის:

„უცხო შორეთის სიყვარულით პირგამეხილი:
და უცდის გმირი: გამთელდება ნეტავ თუ ოდეს,
შენს უნდო მკერდში მისი ხმალი გადატეხილი“.
(იხ. სონეტი „საქართველოს“).

ამ სტრიქონებში მთელი საქართველოა დაცლილი.

„უცხო შორეთის სიყვარულით პირგამეხილი:“

ოთხ სიტყვაში გადამტყდარია საქართველოს პრობლემა, სადაც ასახულია მუდმივი შინაქმითი დამოკიდება სასურველ შორეულთან აქ არის გავლებული საქართველოს მეორე ხაზიც: უნდობლობა მას უყვარს თავისი თავი, მაგრამ ვერ ენდობა. შეუძლია მორიელივით

უკბინოს მას, ან დასწვას კოცონში, რომ იშვას ახალი საქართველო.

„შენს უნდო მკერდში მისი ხმალი გადატეხილი“

ტრაგიულ ატირებით თავდება სონეტი, რომელიც საქართველოს სუნთქვით არის ტან აყრილი.

რკალი უფრო ვიწროვდება, და მეტად მახვილდება.

საქართველოს პრობლემასთან ვხვდებით იმერეთის ხაზს ქართულ პოეზიაში. დავით კლდიაშვილის მოთხრობები ქიმერების საგანეა. აქ არის თვალთმაქცი აზნაურეთი. გრ. რობაქიძე უფრო შორს მიდის. მას თუჯით ნაპირებ-მოკრულ ლექსში მთელი იმერეთია გაშოლტილი და ისე რომ ვერ უძლებს პოეტის ირონიას. (სიამაყეს).

„ჩემთან მოდიან შხამიან თასით
შენი იოვან და საააძე
და იმერეთი ნიადაგ თარსი
წინ მეგებება როგორც საკაცე“.

აქ საბოლოოდ გახსნილია რკალი; თვალთმაქცურად იყურება „იმერეთი ნიადაგ თარსი“. აქ ყველაფერია ნათქვამი.

უფრო მწუთხე სიტყვები, და ამავე დროს მაღალ სიყვარულით დაჯილდოვებული, ქართულ პოეზიას არ ახსოვს.

უკანასკნელი ეროვნულ ხაზების გავლებაში შორს ვედარ წავა. არის მეორე მხარე იმერეთის სინამდვილეში:

ქიმერიის დანავსული გამოხატვა, ესეც მისტიურია თვისგნით და მირაჟით ათოვლებული.

თემა ასეთია: ორღობის სარზე კიდია ცხენის თავის ხაპი.

უკანასკნელში იტეხება შიარეულ მგზავრის მავნე მზერა: ფიცრული ოდის გათვალეა იმარხება ობობით დაქსელილ ხაპში.

ეს არის იმერეთის მისტიურ რიტუალის მაგიური ხაზი—ეროვნული პათოსი „ორღობის ეშაფოტი“, რომლის ყოველი სტრიქონი ქალური რითმით არის დაჭედილი, ამ თემის ქანდაკია, მხოლოდ იგი სცილდება ნაპირს და აპოკალიპსებური ეპილოეპსიით იწყებს ქიხვიხს, რათა „მთელი სამყარო დაიქცეს არად“.

„ორღობის ეშაფოტს“, როგორ რიტმის სიძლიერით ისე ინტელექტის სიმახვილით, შეუძლია გაყვეს დუელში, ევროპის თანადროულ დიდს პოეტს

კიდევ ერთი ხაზი გრ. რობაქიძის პოეზიაში, რომელიც ეროვნულ შემოქმედების სიხალისით არის ამეტყველებული.

საქართველოს არას დროს არ უგრძვნია თავე რელიგიურ დოგმის ცეცხლი. არმაზის დამსხვრევის შემდეგაც ძლიერი იყო ქართველებში წარმართული რელიგია, თუ ერთი მხრით მასში მოზრდილი იყო აჭრელებული ბიზანტიზმი. მეორე მხრით სპარსიზმის გავლენაც საგრძნობი იყო ქართველში შედუღებული იყო ქრისტიანიზმი და მუსლიმანიზმი.

ჩვენში არ ყოფილა სექტანტიზმი და მატერიალურ კულტურასთან ერთად ძვირფასი იყო სულიერ კულტურის შვება.

ესეც საქართველოს პრობლემაა, ამისათვის საჭიროა ცალკე ისტორიული მონოგრაფია. მხოლოდ დასმულია იგი გრ. რობაქიძის პოეზიაში.

„ტაძარი იშვა: თეთრი ლოცვით ათოვლებული.
საშოხმანების: ხან მყოფელი და ხან კი ბერწი.
სევდათა ვაზის ცრემლიანად მოჭრილი ლერწი.
და ცხელი ჯვარი: ნინოს თმებით განედლებული“
(იხ. სონეტი საქართველოს)

აქ რელიგიური ექსტაზი (სულის სიხალისე) ქალის აცხოვრებით (მატერიით) არის განედლებული. ლეგენდა ვაზის ჯვარის შესახებ, რომელიც ნინოს თმებით არის მოვრული, სიმბოლიური მეტყველებაა ქართველში სულის და მატერიის შეუღლების შესახებ.

ამ რიგად გრ. რობაქიძის მხატვრულ პოეზიაში მოვარდნულია უდაბნოს სამუმი, რომელიც მილეკავს დამძიმებულ რიტმით, საქართველოს პრობლემათა ჯარს.

მისი მისვლა საქართველოსთან ისეთივეა, როგორც გორგი საააძის. მწერს რომ უნდა, იმერეთი ნიადაგი თარსი“, და გაურბის, რომ ნახოს უცხო შორეთი, პირველის „ორალი“. მას უყვარს საქართველო, როგორც სასძლო ქალწული და

ამიტომ ეტყვის ბავშვებს: ... კარგი არის
ძველი წ...
წადით, ...
ხადაც მ...
(იხ. ...)

ტიციან ტაბიძე რომელმაც სამყა... უკუღმა დაატრიალა და ირონიის გ... გალში მოდუნა, საქართველოს სხვა ... ლამაზე მისცა და სხვა ფანტასტი... გახვია.

ტიციან ტაბიძის პოეზიაში, საქ... დაისვა ქართულ დაწმენდილ ლირიზმ... პრობლემა, საქართველომ ახალი სიმახვ... ლე მიიღო. აქ მხოლოდ ეს ხაზია ღი... ნიშნავი. საქართველოს გზა შორია ... დახვეული. იგი ცხელი უდაბნოთა ... ლით არის დამწვარი. საქართველო მ... დის ქალდეიას გზით ვიდრე არსებუ... გეოგრაფიულ საზღვრებამდე. ქალდეი... ცხელ ქალაქებში იხალისა ქართულმ... ტომებმა და ეროვნულ კულტურის პირ... ველი სუნთქვამ. ამ ქალაქებში იკარგებ... ისტორიის გზა: ამიტომაა ძვირფასი ტი... ციან ტაბიძესთვის ქალდეა პოეზი... პირველი რკალი ამ ქალაქებით არი... დატრიალებული როგორც ჭანკა. პირვე... ლი ლირიულ ამღერებაში არის სურნ... ლება საქართველოს მზით გახსნებულ... კრამიტიან ქალაქების, ქალდეია მზი... ქვეყანაა. აქ არის სხვა გვარი მისტი... და სხვაგვარი ეგზოტიკა—მუდამ ძვირ... ფასი პოეტურ მზერისათვის.

აქ არის აკვანი მზისებრ მითისა ... ფსალმუნისა. ამიტომ ენატრება ტიცი... ტაბიძეს ქალდეია.

„ჩემში სტირიან წინაპარნი—ბრძ...
მოგვე...
დანგრეულ კიბეს მე ვაშენებ, უკან ...
ყვე...
ძველი სიტყვები დაფიცებას დევი...
მე...
ძველი ქალაქი-ღდეს ნაცარი უწ...
ბუ...
ძველი ქალდეია წვავს ოცნებას ...
ემახის სულ...
(წიგნიდან „ქალდეას ქალაქები“)

აქ ყოველი სიტყვა ახალი გამოცხა... ბაა და წარსულის პატივისცემით ... დაჯილდოვებული (მხოლოდ ფილოს... თა ორკესტრის დირიჟორებს არ შე... ლიათ ამის დანახვა). „დანგრეულ კ... ბეს მე ვაშენებ—უკან მივყვები“ მარ... ლაც გააცოცხლა ეროვნული მთლიან... ბა ქართულ პოეზიაში, მხოლოდ ლე... სხვა ვულკანური ძალა მისცა. ეს პირვე... ლი რკალი.

აქ ტიციან ტაბიძე უკვე დაიმუქრა: ...
რომ „ქვეყანას მაინც გადაუხდი ერ...
თბილ პანაშვიდს...

და შემდეგი რკალი იწყება უკანა... კნელ რეკვიების წერით გარდაცვლი... მიზანს.

მეორე რკალის სტრიქონებში თავ... ვემული დარდის ტორკვემადის ხელ... რომ დღისით გაანადგუროს „ვენერ... ქანდაკი“ და ღამით ახალ ესხვერპლ... იფიქროს.

სამყარო იხრწნება, პოეზია იმღებ... ადარაფერია მთელ პლანეტაზე.

არის ოდენ შმორი, ანთება და უკ... ნასკნელი ამონია ტუბერკულოზით ავა... მყოფ მიწისა, სადაც გეგელის დიალ... ტიკას და კანტის იმპერატივებს ყან... მოეკიდა.

ასეთია თემა მეორე რკალის. და პო... ტის ტირილი დახვეწილ ლირიკაში ი... ლება: შეუმჩნევლად ცრემლებით დასვე... ლებული ბაგე ირონიით იფარება შემ... დეგ ირონიაში დაიკარგა მალიარი... სნეულ პლანეტის სასიკვდილო მარში... ეს რკალი ცალკე მონოგრაფიის ღირს...

აქ მხოლოდ საინტერესოა პოეტ... ხერხი ძველ თემასთან დაკავშირე... პრობლემის ახალი მიდგომით, ახ... ასოციაციით.

„ძველი ორპირი დანგრეული სანთ...
ეწყობა მთვარეს გაშმიანი ცხელ...
სრ...
(იხ. ლედელი და მალი...
და ქვემოდ: „ატირდენ ერთად მ...
ყები დამშრალ ფშანებ...
თითქოს ახველებს პლექის ხვ...
„Misse Lea Lee...
თითქმის ყანჩები გაურიენ ფარშე...
გე...
მიბორგავს მთვარე, ყვითელ ს...
მიასრიალ...

ეს ხაზმით ნალექი სახეები, რო... მოშლილან პოეტის ფანტასტიკაში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

...სკნელი დატირებაა განიავებულ სამშობლოსი. და მოწყენილ სევდით იტყვის იგი:

„შენის ვარსკვლავი საქართველოს
მართლის მკვდარია".

აქ იგივე გამგეობა პრობლემის, როგორიც აქვს ანდრეი ბელის, რომელიც ამბობს: Исчезни, Россия, Россия моя, მხოლოდ „ღვდელი და მალირიაში" წერტილი დასმულია და განცდა უფრო მძაფრი.

არც ერთ პოეტს უახლოეს პოეზიაში არ განუცდია საქართველოს ტრაგედია მთელ სიგრძე-სიგანეზე რომ არის გაწოლილი, როგორც ტიციან ტაბიძეს:

„ჩემი სამშობლო საქართველო—სხვა
თეატრია,
ბევრი მინახავს ხეტიალში მე თეატ-
რები.
გახუნებული მისი ხუდი ბევრმა ათ-
რია,
მაგრამ ელვარე მზე ხხივებით არ
ეხათრება".
(იხ. „ლუმერი მასკარადი)

აქ საქართველოს მთელი რაობაა მოცემული, ამაზე ძმარიანი სიტყვები საქართველოს ილუმალ სისტემის შესახებ ახალ პოეზიაში არ თქმულა. არის ერთი დეტალი ტიციან ტაბიძის პოეზიაში, რომლის მოხსენება საკითხის გარკვევისათვის საჭიროა: დეტალი ბათომის დაცემასთან არის დაკავშირებული.

ლექსი „2 აპრილი" ეცვა რიტმით და ასოციაციით არის გამართული, მხოლოდ აქ ალსანიშნავია ეროვნულ სიამაყის შერცხვენის განცდა:

„საკუთარ თავის და სამშობლოს ახალ
შერცხვენის
ტანჯული ფიქრით სამუდამოთ მოვი
ქანცები".
(იხ. ლექსი „2 აპრილი").

ტიციან ტაბიძე, რომელმაც ერთხელ პოეზიაში გამეფებულ ლირიკულ სოფს მაღალი გილიოტინა დაუდგა, საქართველოს მარადიული სულისათვის პოეზიის ჯვარზე გაეკრა და ქრისტესათვის დადგა ირონიით „სქელი ტუჩები", და ლექსს ოპიუმის ძალა აჩუქა.

ვალ. გაფრინდაშვილის პოეზიის ეროვნული ხაზი უკვე გამოსდა გრიგოლ რობაქიძემ პოეზიის საღამოზე, რომელიც პოეზიის სასახლეში იყო გამართული.

აქ მხოლოდ მოვიყვან ამონაწერს გრ. რობაქიძის წერილიდან: „საქანელა და სახრჩობელა".

„საქართველოს ყიფა ფუნქციონალურია, უფრო მას არ სჯერა თავის თავისა და ჰგონს სხვა იყოს, „მაძიებელი ახნაური" ბოლოს და ბოლოს საქართველოს მისტიკაა და ყალბი ღერბების მაესტრო აშორდია ისტორიულ ფიგურად გამოდის".

აშორდიას მისტიკით არის ამეტყველებული ვ. გაფრინდაშვილის პოეზია. ეორიე იხრით: „ქართველი გაურბის თავის თავს (ცუდს), რომ ხახოს თავის თავი უკეთესი...

კიდევ უცხ. ფრესი: ქართველს სძულს თავის თავი (ახლობელი)... ალბად მისთვის ეტრფის თავის თავს (შორეულს)".

ასეთი გაორება პიროვნების დამახასიათებელია ვალ. გაფრინდაშვილის პოეზიაში.

უკანასკნელი ყველაზე უფრო ეროვნული პოეტია თანამედროვე პოეზიაში საერთოდ. ასეთი იყო გრ. რობაქიძის ...აში, მან ამზის არ გამოუშვებია ..., როცა გაზეთის ფურცლებზე ...დ იბეჭდება წერილები ქართულ ...ის გადაგვარების შესახებ.

...ვლით იაშვილის ლექსი ეროვნულ ...ეთ არის გ დახელისებული. მას ...შითას სიტყვას სიამპარტავნე და ...ის ჯადოსნობა.

...ფლეხა ლექსის კრიზისი და ალად... წონასწორობა, მისცა მას ბარბაროსული ცნერგია და მოულოდნელი პლასტიურობა.

გადაცოცხლება მუსიკის ლექსმა შეჩვ ნებითი ძალა, მიიღო ცეცხლის დინამიკა და ფორმის თავვანისცემის გამძედაობა ეროვნული პოეტიკის ხაზები ქართულ პოეზიის დეკადანსამდე.

ეროვნული მოტივებით არის ამღერებული კოლაუ ნადირაძის ზოგიერთი ლექსი.

„დავიწყებული ძველი ფონები
შავი კედლები დიდ ციხეების;
ჩვენი დიდება მოსაგონები
და ფართო ჩრდილი ცაცხვის ხეების"
(ოცნება საქართველოზე)

აქ არის სევდიანი სურათები საქართველოს წარსულის.

ასეთია მოკლედ „ცისფერი ყანწების" პოეზიის ეროვნული კვეთილობა.

ამას დაადგენს მისი ანალიზი და სისწორით გაგება.

ერთია ლიტერატურულ შკოლათა გავლენა, სხვაა „მონური მიბაძვა" „რუსულიდან გადმოთარგმნა". კოწია გამსახურდია „ბერლინში" უხვად არის გაბნეული ვერჰარნის ხაზები, მაგრამ იგი ქართულ პოეზიაში მიღწევაა. „ბერლინით" პოეზიაში საერთოდ ახალი არ თქმულა რა, მაგრამ ქართულ პოეზიაში წონა აქვს.

ამას უნდა გარჩევა.

წერილი გაგრძელდა. მიზანია საკითხის ლიტერატურულ ნიადაგზე დაყენება პატრიოტიზმით სპეკულიაცია და მისი სახელით ვაჭრობა უნდა მოისპოს.

არც „კუნისების დიპლომატიას" აქვს ფასი.

დიდად პატივცემულ ფსევდონიმების გამოსვლებს კი, რომლებიც დაჟინებით ლეჭავენ ერთსა და იმავეს, „ბარიკადები გასცემს საკადრის პასუხს.

შალვა აფხაიძე.

## ახალი ამბები

— **გაზ. „მაშვრალთა ხმის" სარედაქციო კოლეგია აცხადებს ამხანაგების საყურადღებოდ, რომ ჩვენი გაზეთის გამოცემა შეჩერებულია მთავრობის განკარგულებით.** კოლეგია მაცნობებს გაზეთის გამოცემის განახლებას, რის შესახებაც თავის დროზე ეცნობებათ კავშირის ორგანიზაციებს.

— ვანო გოგიაშვილმა დასწერა ახალი პიესა, ბოლშევიკების შემოსვლა ტფილისში, ვაჭრების ოცნება—კონსტანტინოპოლში გამგზავრება. კომედია 3 მოქმედებათ ამ ცოტა ხანში, დაიდგმება სცენაზე. ვანო გოგიაშვილი.

— **პოეზიის აკადემია.** ოთხშაბათს, 20 ივლისს საღამოს 7 საათზე ხელოვანთა სასახლეში, შესდგება მორიგი სხდომა პოეზიის აკადემიისა. გრიგოლ რობაქიძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „სტეფან მალლარმე".

— **მეაბრეშუმეობა.** მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ წინადადება მისცა შინა-მრეწველობის განყოფილებას, რომ გაგზავნოს ქუთაისის სახ. იაპი ინსტრუქტორები, მეაბრეშუმეობის სახელოსნოების და პრაქტიკულ საჩვენებელ პუნქტების გასახსნელათ.

— **აბრეშუმის ქიის თესლის დამზადება.** მიმდინარე სეზონში აბრეშუმის ქიის თესლის დასამზადებლად მიწათმოქმედების სახ. კომ. მოითხოვა ავანსათ 15 მილიონი მანეთი მასალების შესაძენად საქ. რიგის ამავის.

— **აგრონომიული დახმარება.** მიწათ-მოქმედების სახ. კომ. კოლეგიამ დაადგინა გადასდოს 50 მილიონი მანეთი სამაზრო აგრონომიის შტატის გასაწვრთნელად, მორიგი ხარჯების სასწრაფოთ დასაფარავად და ადგილობრივ აგრონომიულ სამუშაოთა გასახსოვრებლად.

— **საშხატვრო სახელოსნო სკოლა.** მიწათ მოქმედების სახ. კომისარიატის შინა-მრეწველობის განყოფილება იხილავს ქვე განყოფილებასთან საშხატვრო სახელოსნო სკოლის მოწყობის პროექტს.

— **მოსკოვიდან ახალი ამბავი ჩამოხვედა.** ტფილისში მიღებულია ცნობები მოსკოვიდან, ტფილისში მსახიობთა მ. მოჯავახესის და პ. სტრუისკის ჩამოსვლის შესახებ. პ. სტრუისკი მოსკოვის სამეფოთა ერთ-ერთ თეატრის ხელმძღვანელია. ამასთანავე მოსკოვიდან ჩამოიტანენ ახალ პოლიტიკურ რეპერტუარს. ზნადდება დასადგმელად ახალი პიესა. პ. სტრუისკის რეჟისორობით „მუშათა კვარტალი".

— **ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის სახელობის კლუბი.** კვირას ივლისის 3-ს ვერის პარკში გაიხსნა მუშესა და წითელ-არმიელებისათვის ახალი კლუბი, სახელწოდებით: „ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის სახელობის კლუბი". კლუბთან გაიხსნება მუსიკალურ-დრამატიული სექცია.

— **ხარჯების დამზადება.** სასურსათო სახალხო კომისარიატის თანხმობით, ცენტრალ. სახლვ. სატრანსპ. განყ. შეუდგა სასწრაფო წესით ცენტრ. სახლვ. ტრანსპ. განყ. საჭურმე ტრანსპორტის საჭიროებისთვის ხარჯების დამზადებას. კომისიაში დაინიშნენ: გ. იარალოვი, ნ. გიორგაძე და ს. ყარალაშვილი.

— **ცენტრალური საზარგული სახელოსნო.** ამხ ტოროშელიძის წინადადებით, ცენტრალური სახლვთ ტრანსპორტის განყ. შეუდგა საჩქარო წესით ცენტრალურ საზარგულო სახელოსნოს მოწყობას, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ცენტრალ. სახლვთ სატრანსპ. განყ. და სამხედრო უწყებას. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა მიიღო პირადათ ცენტრალ. სახლვ. სატრანსპ. გან. უროსმა ამხ. გ. ფიცხელაურმა. კომისიაში მოწვეულ არიან: პ. ჩიქოვანი, ნ. პლემიანიკოვი, ფ. შჩედრინსკი, ნ. გიორგაძე-ა. ყიფიანი და ნ. თუმანოვი.

— **ცენტრალურ მუშათა კლუბში.** ცენტრალურ მუშათა კლუბის სამხატვრო სტუდია იწყებს რამოდენიმე ლექციებს ხელოვნების საკითხზე.

ლექციების წასაკითხად მოწვეულია მხატვარი სანდუკიჩი, ასით-წერის შესახებ ლექციების წასაკითხად მოწვეულია მხატვარი შარლემანი, ხელოვნების ისტორიაზე წაიკითხავს პრივატდოცენტი გორდეევი.

— **ყველა სახლის კომიტეტების თავმჯდომარეთ.** 1) წინადადება ეძლევათ ყველა სახლის კომიტეტებს, რომლებმაც არ წარმოადგინეს სიები ერთი კვირის ვადის განმავლობაში, დღიდან ამა ბრძანების გამოცხადებისა წარმოადგინონ სიები, ვისაც აქვს სახლებში, მუსიკალური ინსტრუმენტებისა. 2) სიაში უნდა აღინიშნოს მეპატრონეს სახელი, მამის სახელი, გვარი, ინსტრუმენტი, ფაბრიკა № ინსტრუმენტისა, პატრონის პროფესია და მისამართი. 3) აღინიშნოს სარეგისტრაციო კვიტანციის №. 4) სიის სწორეთ შედგენისთვის პასუხისმგებელია სახლის კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი, მუსიკალურ ინსტრუმენტების დაცვის კომისია იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე (ყოფ. 1-ლი ქალთა გიმნაზია № 8).

— **ქუთაისის შრომის ბირჟის მოქმედება** შრომის სახალხო კომისარიატში მიღებულია ცნობები ქუთაისის ბირჟის ნამუშევრისა ივნისის 10 დან-19-დე, როგორც ჩანს ამ ცნობილიდან, აღნიშნული დროს განმავლობაში ჩაწერილია 363 უმუშევარი კაცი და 707 ქალი. გაიგზავნა სამუშაოდ 206 კაცი და 531 ქალი, დეტალური განხილვა ამ ცნობილისა იქცევს ჩვენს ყურადღებას მით, რომ უმუშევართა უმეტესი რიცხვი ქალებია, რომლებიც შეადგენენ 66 პროც. მთელი რაოდენობისას. ადგილზე გაგზავნილთა შედარება კი რამოდენიმეთ იცვლება. აქ ქალებს უჭირავთ მეტი ადგილი, მაგრამ მაინც ნაკლებ პროცენტით უმუშევრები, სახელდობრ 52, 43, პროც. დიდი მოთხოვნილებაა ინტელიგენტურ შრომის პირებზე, როგორც არიან ინჟინრები, მდივნები და სხვა. აქ ყველა ჩაწერილი გაგზავნილია ადგილზე. ყურადღებას იპყრობს ის, რომ სრულებით არაა მოთხოვნილება საექიმო პერსონალში, რის გამოც ჩაწერილი მოწყალების დები და ფელდშერები დარჩნენ გაუგზავნელნი.

## საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

**ჩუღურეთის რაიონში.** ხუთშაბათს ივლისის 14-ს ადგილობრივ ბიუროში მოხდა ჩუღურეთის რაიონში მცხოვრებ სოც.-ფედერალისტთა სარევ. პარტიის წევრთა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. პ. პანიშვილმა. კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:— „მოისმინა რა კრებამ მოხსენება ამხ. პ. პანიშვილისა დრ. მთავარი კომიტეტის უახლოეს მიზნებზე, მოიწონა იგი და დაადგინა; მოუწოდოს ამხანაგებს საერთო თანამშრომლობის და ენერგიულ მუშაობისაკენ რათა დაეხმაროს დრ. მთავარ კომიტეტს პარტიის მაღლიანობის აღდგენაში." დასასრულ არჩეულ იქმნა კომიტეტი სამი პირისაგან შემდგარი, რომელშიაც შედიან ამხ. პეტრე მურმანიშვილი, შ. ჩხიკვიშვილი და დ მელაშვილი.

ზეინკალი მუშა.

## ფოსტა-ტელეგრაფში

**პასუხის პასუხი ბ. ბერძენიშვილს.**

როცა ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრებიდან წერილი მოვათავსეთ „სოციალისტ ფედერალისტში" (№ 100), ჩვენს მიზანს და სურვილს არ შეადგენდა ბ. პ. ბერძენიშვილთან კამათი; პირიქით ჩვენ გარკვეულად შევეხეთ კავშირის გამგეობის საარჩევნო კრებებს, კომუნისტების პლატფორმას უფლებრივ საკითხზე, ამ სიტყვების სრული გაბათილება სინამდვილეში, მოსამსახურეთა ეკონომიურ-უფლებრივი მიწასთან გასწორება, პოლიტკომების თვითნებობა ამ დროის „დიდი ზღვარი სიტყვასა და საქმეს შორის" და „სრულ უფლებიანი" ცეკა შორიდან მაყურებლის როლში. ამის გამო ყოველი ნდობის დაკარგვა ხალხის თვალში და სხვა... აი რაზე მივაქციეთ ჩვენ მკითხველის ყურადღება, პროფკავშირის ორგანოს, თუ ის შეურაცყოფილათ გრძნობდა თავს, უნდა ემართლებია თავი მუშა-მოსამსახურეთა წინაშე, სადაც ჩვენ დიდის სიამოვნებით გადავშლიდით ფართე სურათს, იმის დამამტკიცებელს, რასაც წერილში გაკვრით შევეხეთ. რაკი ცეკამ არისურვა ასეთი სწორი ნაბიჯი, იძულებული ვართ ისეთ პირს ვეკამათოდ, რომელიც ჩემის აზრით „ყურაწეული უნდა იყოს" და ან უნდა სცდილობდეს „დანაშაულის გამოსწორებას", თორემ რას ნიშნავს სულ სხვა კილოზე ლაპარაკი კაბინეტში და ხალხში, გაზეთის ფურცლებზე კი სერვანტესის გმირივით შუბლზე ხელის მიდება და კითხვა: „გაუგებარია რაში გამოიხატება ადმინისტრაციის და პოლიტკომების თვითნებობა"-ო. ნუ თუ თქვენ ბ. პროკოფი ქარის წისქვილებს ებრძოდით, როდესაც შრომის კომისრის ამხ. ლადოს და ოდილავაძის მოყვანაც დაგჭირდათ გამწვავებული საკითხის დასაცხრომლად. რას ნიშნავდა თქვენი წარამარა ლაპარაკი: „ერთი პოლიტკომი უნდა მოვსპოთო". რადგაც მიზეზი უნდა ყოფილიყო? და ეს მიზეზი არის სწორედ ის თვითნებობა, რომელზედაც მე მივუთითე... ერთხელ კიდევ გიმეორებთ შემდეგს: 1) თქვენ საარჩევნო კრებებზე გადაუშალეთ ხალხს მთელი სხეა უფლებით აღჭურვილ კავშირისა, 2) ხალხის დასჯა, მილება-დათხოვა ამალლება დაწ... ცირება, დატყვევება (განსაკუთრებულ შემთხვევებს გარდა) უსათუოდ გადაყვანა და სხვა არ უნდა მომხდარიყო კავშირის გამგეობის დაუკითხავათ. რა მოხდა: მოხდა შემდეგი: 1) მიღებულია ახალი ხალხი უკავშიროთ, რომლების შესახებაც უბრალო ცნობაც კი არავის მოუწოდებია, 2) დატყვევებული იამრავალი მუშა-მოსამსახურენი, საქმის გამორკვევამდე კავშირის გამგეობის დაუკითხავად და მისი სურვილის წინააღმდეგ სხვათა შორის ამხ. ხაუტაშვილი და იმერლიშვილი, აი ფაქტები და გარკვეული ბრალდებები, რომელიც აქ იყო აღნიშნული, და რაზედაც თქვენ უნდა გაგეცათ პასუხი. თქვენ კი ა. „ორგანიზატორთ" ცეკასი ამაყ-უბდათი სცდილობთ ჩვენი სიყალბეში დაჭერას. მაგრამ იცოდეთ, ჩვენ ვიცით რას ნიშნავს პასუხის მგებლობა და თქვენსავით ამაყ-უბდათი და დაბალი ხარისხის დემაგოგიით ვერ გამოვალთ პრესაში. საბრალო ხართ პირდაპირ, როდესაც თითქოს რაღაც კონტრ-რევოლიუციონერებს ეძებთ ფ. ტელეგრაფში და ამბობთ: „მათ (იგულისხმე ს. ფ.) აბა რაში მოეწონებათ თუ ზოგ ვ ქრატონს დაატუსაღებენ და სადაც ჯერ არს იქ გაგზავნიან. ეტყობათ ვერ მოუნელებიათ ის გარემოება, როცა რევოლიუციის მოდალადე თავის დროზე აღაგმულ იქმნება პოლიტკომების და სახფოსტელის მიერ." სასაცილოა. თუ რიგ კონტრ-რევოლიუციონერები ფ. ტ. მუშა-მოსამსახურენი დატყვევებია ბ. პოლიტკომებს, და ამას რათ კვირველია პ. ბერძნიშვილი უკრავს ტაშს. მაგრამ დაგვისახელეთ რამდენი დაჭერილი ამხანაგი აღმოჩნდა კონტრ-რევოლიციონერი, თუ ასეთებს იჭერდენ თქვენი გუშინდელი „თებერვლის" კომუნისტ-პოლიტკომები, მაშ რად ებრძოდით მათ, რათ იცავდით ზოგიერთ დატყვევებულთ? თქვენც ხომ მათ ბანაკში არ ხართ?.. თქვენ სცდილობთ ყველაფერი მიმალოთ, მაგრამ „ტომარაში შუბი ა დაიმალება." სხვას, რომ თავი მივანებოთ ბ. ბ.—ლი ისე გაკადნიერდა რომ მტკნარი სიცრუეც კი დაგვწამა: „რად დაატუსაღეთ ექსპედიტორი ა. ზ და დამტარებელი იმერლიშვილი" კითხვას სვამს ჩემს მაგიერ და თვითვე მიპასუხებს: „განა ეს მტკნარი სიცრუე არ არი, როდესაც ამხანაგები არ არიან დატყვევებული?" მაგრამ თუ მკითხველმა იქ ...ნი მეთანხმება და წაიკითხა ბ. პროკოფის „ნამდვილარი" ბოლომდის, ის დარწმუნდება, თვით ჩემი მოწინააღმდეგე ... დასჭირდა მტკნარი სიცრუე", ქვევით ის სწერს:

„მაშ უნდა ... „მეხო" თქვენც ის ფაქტი, რომ ამხანაგები სასწრაფოდ იქმნენ ცეკას მიერ განთავისუფლებული" დიახ ამას ქვია „ბოლომდის ჩაყოლა"—აკი ბოლოს თქვენ თვით აღიარეთ ის ფაქტი, რომ „ის ამხანაგები იქმნენ განთავისუფლებული". დიახ მართალი ბრძანებაა. მაგრამ სად არის თქვენი ლოღიკა? თუ არ დაუჭერიათ, მაშ როგორ გაანთავისუფლეთ? ამას ქვიან ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო". კიდევ ერთი ფაქტი: ამ რამოდენიმე დღის წინად ხუთი ზუგდიდის კანტორის თანამშრომელიც გაგზავნა ჩეკაში ბ. პოლიტკომმა, მაგრამ იმდენად დიდათ „დამნაშავენი" აღმოჩნდენ, რომ „რევოლიუციის მტრები", რომლებსაც თურმე ატყვევებენ პოლიტკომები თქვენი სიტყვით, არ მიიღო ჩეკამაც კი. აი რაში გამოიხატება თქვენი დამარცხება ხალხის თვალში. ქარის—წისქვილებთან ბრძოლა არც ისე სასარგებლოა, და ყველას კონტრ-რევოლიუციონერად გამოცხადება, ვერავის დააჯილდოვებს რევოლიუციონერის ორდენით. დასასრულ გირჩევთ კრილოვის ბოჩკა მოიგონოთ, და თუ კიდევ არ შეიბრალოთ ამ სიძვირეში ქაღალდი და მელანი, ნაკლები ადგილი მიეცით ფანტაზიას და ეცადეთ ფაქტებით მოგვ ლაპარაკოთ, თორემ ფოსტა-ტელეგრაფის პროლეტარიატმა უკვე კარგად იცნია ცარიელი „ოჯახის რახა-რუხი საზოგადო კრებებზე, და მას კარგად ახსოვს, თუ ვის იცავდა მას ყოველმხრივ ყოველთვის და ყოველგან, და თქვენი უშნო დემაგოგია ვერავის აუხვევს თვალს.

მეხი.

## შევარდენთა გაფრენები

1.

ყოველ-წლიურათ ზაფხულობით საქართველოს შევარდენთა კავშირს განზრახული აქვს მოაწყოს გაფრენები სხვა და სხვა ადგილებში. მაგალითად წელს ამ ორი თვის განმავლობაში კავშირმა მოაწყო ასეთი გაფრენები ტაბახმელაზე, კუს ტბაზე, ლისის ტბაზე, ავჭალაში, მამა-ნაბადის მონასტერში, უძოში და კიკეთში. მე ამ წერილში მინდა შევეხო შევარდენთა უკანასკნელ გაფრენას კიკეთში, სადაც სამი დღე დაჰყვეს შევარდნებმა, მოაწყვეს იქ მრავალი ვარჯიშობანი და თამაშობანი, ასიამოვნეს დამსწრე საზოგადოება და თვითონაც კარგად ისიამოვნეს.

მაგრამ სანამ შევუდგებოდე ამ გაფრენის აღწერას, მოკლეთ შევეხები თუ რას წარმოადგენს ეს ე. წ. შევარდენთა გაფრენები, რა მნიშვნელობა აქვთ მათ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში და რამოდენათ სასარგებლოა ის ჩვენს ახალთაობისათვის და საერთოთ მათთვის, ვინც მუშაობს დღეს-დღეობით შევარდენთა საზოგადოებაში.

შევარდენთა გაფრენას ჩვენ უწოდებთ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილზე გაგზავნებას—ექსკურსიას შევარდენთა დიდ კრებულისას, რომელიც მიზნათ ისახავს დაათვალიეროს და შეისწავლოს ეს თუ ის ისტორიული და მნიშვნელოვანი ადგილი; გარდა ამისა ყოველი შევარდენი საგანგებოთ ჩაცმული იარაღით და გაშლილი ტანისამოსით ახლოა ბუნებასთან, ახლოა მზის სხივებთან, რომლის წყალობითაც ჯანსაღობა ემატება მას, ძლიერდება და კაჟდება მისი სხეული, რის გამოც ის ხდება კარგი მებრძოლი ყოველივე სნეულების დასამხვედრათ.

შევარდენთა გაფრენები იმითია კიდევ მნიშვნელოვანი, რომ შევარდენთა ფრთის ქვეშ ჩვენი ხალხის შვილები ხოხულობენ მჭიდრო და ძმურ, ნამდვილ ამხანაგურ კავშირს, სადაც ერთნაირ ტანისამოსებში არ ირჩევა შევარდენთა სოციალური მდგომარეობა, ერთია ყველა: მოწაფე, მუშა, ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი; და ასეთ გაფრენების დროს შევარდნები აწყობენ ვარჯიშობას თამაშობებს და თავის თავისუფალ მოძრაობებით ერთავარ ალფრთოვანებას იწვევენ მოქალაქეებში, როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში. ასეთ მოძრაობებს დროს სჩვევს მშვენიერი წესმორჩილება, რაც თავის თავად სილამაზით მოსავს ისედაც მშვენიერ შევარდნებს.

გაფრენების დროს შევარდნები იკრიბებიან თავის ოჯახით მრავალ ხალხს და იმართება ხალხური: ცეკვა-თამაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერები, ბურთაობა, ტანვარჯიშობის მნიშვნელობაზე საუბრები.

მე ყოველივე ეს ძლიერ დიდ მნიშვნელობას შევარდენთა გაფრენების დროს თვით შევარდნების განვითარებას, მათ დაახლოვებას ხალხთან, ხალხის თვალშიც იზრდება ამავე დროს შევარდენთა მნიშვნელობა საერთოთ საქართველოს მშრომელ ხალხისათვის, თუმცა „მეშჩანიზმი“ დღესაც ძლიერია ჩვენი ხალხის დიდ ნაწილში, რომელსაც ყოველივე ეს მიაჩნია აბსურდათ, მაგრამ შევარდენთა იდეის განვითარებასთან და მის მოქმედებასთან უძლური ყოველგვარი მეშჩანიზმი, რომელიც სრულიად ვერ უძლებს შევარდენთა

თვით ბუნებაც, რომლის სილამაზესაც ასე სწრაფათ სწვდა საქართველოს შევარდენთა კრებული და რომლის წიაღშიც იზრდება დღეს შევარდნული აზრი —შევარდნული იდეა, ეს ბუნებაც შევარდენთა მხარეზეა. არაბუნებრივობა, ბუნებასთან დაშორება—არა სჩვევია საქართველოს შევარდენს. საქართველოს ნაზი და მძლავრი ბუნება მთავარი ღერძია შევარდნობის იდეის განვითარებისა. ეს არის სწორეთ მიზეზი, რომ საქართველოს ბუნების მქონე ხალხმა მოგვცა მძლავრი შევარდენი, რომელიც შეეთვისა, შეეხორცა თავის მშრომელ ხალხის სამშობლოს მშვენიერ ბუნებას, რაც უმთავრესად გამოიხატება საქართველოს შევარდენთა გაფრენებში.

ერთ ასეთ გაფრენას ამ მოკლე წინათქმის შემდეგ მინდა შევეხო ჩემს წერილში, სახელდობრ იმ გაფრენს, რომელიც მოეწყო კიკეთის ახალშენში შევარდენთა კავშირის თავმჯდომარის ძმა გიორგი ნიკოლაძის თაოსნობით.

თანახმად კავშირის მოწოდებისა 9 ივლის, შაბათს ნასადილევს 4 საათზე უნდა შევკრებილიყავით მხოლოდ უფროსები მეორე შევარდენში, სადაც დაგვირიგდებოდა შევარდნული ტანისამოსები. მიუხედავად ღრუბლისა, რომელიც მზეს გადაფარებოდა და წვიმას გვიქადდა, 4 საათისათვის იწყო ვაჟთა პირველ გიმნაზიის ეზოში დენა შევარდნებისა. თანახმად ბრძანებისა დატრიალდენ კავშირის და მეორე შევარდენის მოურავები და იწყეს ტანსაცმელის დარიგება. ვარჯიშთავებმა მოაწყეს თავიანთი შევარდნები და რიგრიგათ მიდიოდენ ტანისამოსის მისაღებათ ჯერ 1 შევარდენი, მერე 2,3 და სხ. 5 საათი იყო, როდესაც დაირაზმა შევარდნები და მწკრივში მდგომი ისმენდა ძმა გ. ნიკოლაძის სიტყვას ამ გაფრენის შესახებ; ეს იყო პირველი გაფრენა, როდესაც სამი დღით გვიხდებოდა წასვლა.

„მარჯვნისკენ, ბიჯებით იარე“—გაისმა ბრძანება და დაიძრა შევარდენთა ლამაზი გუნდი. წინ დოლი და სალამური, შუაში მომღერლები. წინ ვაჟები, უკან ქალები. სიმღერებით გავემართეთ ფუნიკულიორისაკენ სანამ ვაგონმა ყველანი ამოიყვანა ზევით, ერთმანეთს უცდიდათ და სრული 6 საათი იყო გზას რომ „შეუდექით უძოს მიმართულებით მთებზე. სამი დღისათვის მომარაგებული სურსათი და მასთანვე ღამის დროს დასახურავი ყველას ზურგზე ჰქონოდა ჩანთებში, მაგრამ მიუხედავად ამისა მარდათ მიდიოდა სულყველა. უძოს მთამდის სულ მაღლა-მაღლა გვაქვს სასიარულო ექვსი ვერსის მანძილზე. ვინაიდან დღე დრუბლიანი შეგვიხვდა და ისიც საღამოს, ამისათვის ირგვლივ მშვენიერ მიდამოთა ხილვა ვერ ვიხილეთ. გამოჩნდა მთაზე უძოს ეკლესია, რომლის მახლობლათაც წყაროსთან უნდა შეგვესვენა და ყველასათვის დაგვეცადა,

კარგა დაღამებული იყო, როდესაც უძოს ეკლესიის ძირში წყაროს ახლოს შევჩერდით შესასვენებლად. მართლაც ანკარა წყალმა, რომელსაც ირგვლივ შემოუსხედით, შეგვმატა ახალი ცოცხალი ძალა. შევარდნებმა ხელათ მოძებნეს იქვე ტყეში ფიჩხები და რამოდენიმე ადგილას დაინთო ცეცხლი. ზოგი ჩაის ადუღებდა, ზოგი სიმღერით ერთობოდა, ზოგიც საუზმეს შეექცეოდა.

„გიგა ჩამოგვრჩა, გიგა ჩამოგვრჩა“—გაისმა ხმები და შეწუხებულნი ჩვენანი კითხულობდენ ძმა გიგას ჩამორჩენის მიზეზს. მოგეხსენებათ, ხოლერობის დროა და ყოველივე პაწია მიზეზი ერთგვარი შიშს იწვევს. თურმე ნუ იტყვით ჩვენს გიგას, რომელიც შევარდენის მხიარულების დერძია, ცოტათი მუცელი ასტკივნია, მაგრამ შევარდენებს, რომელთაც ცოტა ოდენი ლვინოც ამოჩენიათ, ხელდახელ მოურჩენიათ გიგა და მაშინ როდესაც ჩვენ მის ცდაში ვიყავით, გიგა შორიახლოს ჩამომჯდარი ქვაზე გვიცქეროდა სუყველას. შეიქმნა ოხუნჯობა, მხიარულობა, ვიღაცას შალი შემოაკრეს გიგას წელზე და გიგაც რაღაც კვირველით მარდათ გამოიყურებოდა.

შევისვენეთ წყაროსთან ერთი საათი და ბრძანებისამებრ მეათე საათი იყო გზას რომ გავუდექით. დანიშნული იყვნენ ავანგარდში ძარიგეები და აგრეთვე არიერგარდში, რომლებს შუა უნდა ევლოთ ყველას, რათა არავინ ჩამორჩენილიყო.

ათ წუთში გავედით მანგლისის გზატკეცილზე და ხშირად ავანგარდს არიერგარდი აძლევდა ნიშანს ფშტვენით, რომ ყველაფერი რიგზეა და შეეძლო გზის გაგრძელება, მივდიოდით სიმღერით, გაშლილი გზა სიმხნეს გვმატებდა. მივიწევდით თეთრ დუქნისაკენ, საიდანაც ვერსნახევარია კიკეთის ახალშენამდის.

„შენ ხარ გუგულ, თამრო სად არის?“

„აჰა, გიორგი, ვანო ხომ არ დაკარგულა?“—

ისმის ხმები.

ვარაუდით უძო ნახევარი გზაა, ისე რომ როდესაც პირველათ მიდიხარ უცნობ ადგილას და ისიც ღამე, არაფერი მოსჩანს ირგვლივ, ასე გგონია გზა გრძელდებაო,

გიორგი გადაწყვეტით გვეუბნება სრულ თორმეტის ნახევარზე შევალთ კიკეთში, კოლა კი (ჩვენი მოურავი) გვარწმუნებს, აი ავერ ერთი ვერსი დარჩა სულო, მაგრამ კოლას ერთ ვერს ორი საათი მივდიოდით.

ჩავუარეთ თეთრ დუქანს, რამაც ძლიერ გაგვამხნევა. შევარდენებს უკვე დაღალობა ეტყობათ. ვითომ წვიმასაც ეპირებ; მაგრამ აი გამოჩნდა ჩირდდანი და „ბუ“-ს ძახილი, როგორც ჩანს კიკეთის აგარაკიდან. ეს იყო ჩვენი გოგი და პეპიკო, რომელნიც წინადღით წასულნი კიკეთში, გვიმზადებდენ ბინას, შემოგვეგებენ მათთან ერთად სხვა შევარდენებიც—ქალები, რომელნიც სკოლებში მუშაობენ კიკეთში.

ერთი სიტყვით, რადგან გვიანი იყო, ყველა ბინას კითხულობდა. როგორც იქნა დავლაგდით. ვაჟები—ნაწილი დიდ კარავში, რომელიც საგანგებოთ გაშლილი იყო ერთ ერთ ეზოში, ნაწილი კი ერთ სახლის აივანზე; ქალებიც ერთ ერთ სახლში. კარგა ნაშუაღამევი იყო, კიდევ ისმოდა შეწყვეტილი ხმაური შევარდნებისა.

გიორგი ნიკოლაძე კი, როგორც უფროსი დადიოდა ხან აქეთ, ხან იქით, „ყველა მოეწყო, თუ არა“-ო.

მიეცა ძილს შევარდნები და მიწყნარდა ისედაც მშვიდობიანი და ჩუმი ლამაზი კიკეთის მიდამოები.

ხოხო ახლანიშვილი.

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### ცირკულიარული წერილი.

**ყველა სახალხო კომისარიატებს და ქალაქის რევკომს.**

საქართველოს რევკომს ხშირად მოსდის ცნობები იმის შესახებ, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში მთხოვნელი განიცდის დიდ შევიწროებას იქ გაბატონებულ ენის უცოდინარობის გამო, ასეთსავე შევიწროებას „განიცდიან ზოგიერთ კუთხის მცხოვრებნი იმის გამო, რომ ადგილობრივ დაწესებულებათა სათავეში დგანან პირნი, რომელთაც არ ესმით ადგილობრივ მკვიდრთა ენა და რომელიც მიწერ-მოწერას აწარმოებენ მცხოვრებთა უმრავლესობისათვის გაუგებარ ენაზე.

ასეთი მოვლენები სრულიად არ შეეფერება საბჭოთა ხელისუფლების იდეას, სახელს უტეხს მას და ხელს უშლის დღევანდელ წესწყობილების განმტკიცებას.

საჭიროა მიიღოთ სახელმძღვანელოთ, რომ საპასუხისმგებლო ადგილებზე დანიშვნის დროს აუცილებლად იქნეს მხედველობაში მიღებული კანდიდატის მიერ ქართული ენის ცოდნა; ამასთანავე სხვა და სხვა კუთხეებში საპასუხისმგებლო ადგილებზე დაინიშნონ ისეთი პირნი, რომელთაც გარდა სახელმწიფო ენისა ესმით ადგილობრივ მცხოვრებთა უმრავლესობის ენა და საერთოდ ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებლებთან მიწერ-მოწერა და ყოველივე ურთიერთობა უნდა სწარმოებდეს ადგილობრივ მკვიდრთა გასაგებ ენაზე.

საქართველოს რევკომი გავალებთ თქვენ მიიღოთ შესაფერი ზომები ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელო პრინციპის ცხოვრებაში გასატარებლად და მისი დამრღვევნი სასტიკ პასუხისგებაში მისცეთ.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი

რევკომის საქმეთა მმართველი: თ. წივწივაძე.

### დადგენილება № 40

**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.**

**ქალაქ თბილისის განტვირთვის შესახებ.**

რადგანაც ქალაქი თბილისი მეტის მეტად მჭიდროდ არის დატვირთული მცხოვრებლებით, და განიცდის დიდ სასურსათო გაჭირვებას, ამასთანავე თავი იჩინა გადამდები ავათმყოფობამ,—საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი აუცილებელ საჭიროდ სთვლის ქალაქის განტვირთვას (შემსუბუქებას) და ამის გამოადგენს.

1. ყველა ის პირი: ა) რომელიც დაკავშირებული არ არის ქალაქ ტფილისთან მკვიდრი მოსახლეობით და ბ) რომელიც თავისი ცხოვრების საშუალებას არა საზოგადო-სასარგებლო შრომით ჰპოვებს—ვალდებულია, ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა,—დასტოვოს ქალაქი ტფილისი.

შენიშვნა: ამ პირთა შორის საქართველოს მოქალაქენი უნდა წავიონენ იმ ადგილას, სადაც ადმინისტრატიულად მიწერილნი არიან.

2. ტფილისიდან ლტოლვილთა გაყვანა და მათთვის მზრუნველობა დავალებული ცენტრალურ საევაკუაციო სამართველოს.

შენიშვნა: ამავე სამართველოს დავალებული ტფილისიდან გაყვანა და მზრუნველობა ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნულთა შორის ისეთი პირებისა, რომელთაც სამმართველოს გადაწყვეტილებით, თვით არ შეუძლიათ ტფილისიდან გასვლა სრული ნივთიერი უსახსრობის გამო.

3) ამ დადგენილების პირველი მუხლი არ ვრცელდება იმ უმუშევრებზე რომელნიც ამა დადგენილების გამოცხადებამდე ჩაწერილნი იყვნენ საქართველოს მუშათა პროფესიონალური კავშირების უმუშევართა აღრიცხვა-განაწილების განყოფილებაში.

4. ამა დადგენილების აღსრულებაში მოყვანა დაევალოს საუწყებათაშორისო კომისიას, რომელიც უნდა შესდგეს შინაგან საქმეთა კომისარიატის კომუნალური განყოფილებისა, ქალაქ ტფილისის რევოლიუციონური კომიტეტისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატისა, შრომის კომისარიატისა და საქართველოს საგანგებო კომისიის წარმომადგენელთაგან.

5. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვირკველია

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხაჟარიძე

## მოწერილი ამბები

**სამურზაყანო.** მას შემდეგ, რაც აქ ახალი წყობილება დამკვიდრდა უნდა ითქვას, რომ გარეშე ძალის მიზის ზეგავლენით აქაურ განუკურნებელ სენს—დაცემას და გაძარცვას თითქმის ადგილი აღარ აქვს, მაგრამ მცხოვრებლები გარდა იმისა, რომ ნივთიერად დიდს უმწეო მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი და მას კულტურულ-ეროვნულ მნიშვნელობის საკითხიც აინტერესებს. სამაზრო ქალაქში ერთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, რამაც ხელი შეუწყო ხალხის მოთხოვნილებათა გამოაშკარავებას, აქ მაზრის მმართველობა 20 ივნისისათვის ელოდა აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარე ეშბაიას, რისთვისაც მოწვეულ იქმნა სამაზრო ყრილობა. საზოგადო ყრილობა, დიდის იმედებით გამსჭვალული, წინდაწინ შეუდგა დღიურ საჭიროებათა საკითხების შემუშავებას, რისთვისაც არჩეულ იქმნა ყრილობისაგან ხოფო ეთერია, რომელსაც დაევალა წარსდგომოდა ა. ს. ს. რ. თავმჯდომარეს და დაწვრილებით გაეცნო ხალხის მოთხოვნილებანი, რაიც ეთერიამ პირნათლად შეასრულა. სხვა მრავალ ეკონომიურ საკითხებთან ერთად ხალხის წარმომადგენელმა სთხოვა აფხაზეთის თავმჯდომარეს სწავლა-განათლების შესაფერ ნიადაგზე დაყენება და აღნიშნა, რომ სწავლა ყოფილიყო ქართულ ენაზე, რისთვისაც ხალხმა ოვაცია გაუმართა მას. ყველა ყრილობის მიერ წამოყენებულ საკითხებზე, ეშბაიამ პასუხი მისცა ხალხს, მაგრამ ეროვნულ საკითხში კი მან ყრილობა სრულიად ვერ დააკმაყოფილა.

ეშბაიას პასუხი თითქოს ბოლშევიკური პარტიისათვის აფხაზეთის რუსეთზე თუ საბჭოთა საქართველოზე მიწერის საკითხს არავითარი ღირებულება და მნიშვნელობა არ ქონდეს, არ იყო დამაკმაყოფილებელი. ხალხისათვის ყრილობას აშკარად ეტყობოდა საქართველოზე დაკავშირების სიდრეკილება. აღსანიშნავია ერთი ფაქტი, რომელმაც დიდი პროტესტი გამოიწვია საზოგადოებაში იმის შემდეგ, რაც ეთერიამ საკითხები დაამთავრა, გამოვიდა ვინმე იასონ ადუმავა და დაუწყო საზოგადოებას იმის მტკიცება, რომ თითქოს სამურზაყანოელების დედა ენა აფხაზური იყოს და ამიტომაც მოითხოვდა დაწყებით სკოლებში აფხაზურ ენაზე სწავლებას; მთელმა ყრილობამ ერთხმად პროტესტი განუცხადა თავხედ ორატორს, იგი დარჩა მხოლობით რიცხვში, ყველას თანამგრძნობას მოკლებული. ასეთ თავაშვებულ ელემენტებს დიდი გაუგებრობა შეაქვთ ისედაც დაბეჩავებულ და განათლებით დაბალ-საფეხურზე მდგომ მასსაში, მაგრამ ბ-ნ ადუმავას მოღალატურ მუშაობას არავითარი ნიადაგიც არ აქვს აქაურ მცხოვრებლებში და არც ექნება, მით უმეტეს, რომ სამურზაყანო ერთი იმ კუთხეთაგანია აფხაზეთისა, რომელიც თითქმის სულ მეგრელებით არის დასახლებული და პოლიტიკური თვისებებითაც ასე თუ ისე ყველა აფხაზეთის მაზრებზე წინ სდგას. ამიტომ ასეთი თითო ოროლა მოინტელიგენტო ვაჟბატონების შოვინისტური ზრახვანი მცხოვრებთა გააფხაზებისა, როგორც რეალურ საფუძველს მოკლებული, მიზანს ვერ მიაღწევს.

ოჩხამურელი.

## წერილი რედაქციის მიმართ

**პასუხად მოქ. ვახიდ ბალოშვილს*)**

გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“-ს 78 ნომერში მოთავსებულია ღია წერილი მოქ. ბალოშვილისა, რომელშიაც ის მე მიყენებს ბრალდებას, თითქოს მე სრულიად უკანონოდ, ვინმეს დაუსწრებლად შევსულიყავი ბათუმში ტრაგიკულად გარდაცვლილ ჩემის ცოლისძმის ოთახში, გამომეტანოს იქიდან ქონება და მიმეთვისებინოს.

საქმის გამოსარკვევად მოქ. ბალოშვილი მიწვევს სამედიატორო სასამართლოში.

რომ ზემოხსენებული წერილი მოქ. ბალოშვილისა პეტივცემულ გაზეთის ფურცლებზე არ ყოფილიყო მოთავსებული, საჯაროდ ...
ძლება მისთვის პასუხის არ გ...
გრამ ეხლა საზოგადოებამ მის...
შემდეგ ...
ნება მიბოძეთ ...
შემდეგი:

ჯერ ერთი—სიცრუეა თითქოს ...
გარდაცვლილი ცოლის ძმის ოთა...
ვსულიყო მარტოდ, ვინმეს და...
ლად—ოთახში მე შევედი ერთი...
ცოლისა და სამი მოწმის თან...
ბით—ამათივე თანდასწრებით გა...
ტანე მისი ოთახიდან ქონება (...
ნივთები, რომელიც იქ იყო ...
ჩაითვლება) ყოველივე ამის შესა...
თავის დროზე ანგარიში წარ...
განსვენებულის კანონიერ მემკვიდრ...
დედასა და ძმას, ამ კანონიერ მემ...
რეებს ჩემთან არავითარი დავა არ...
ტეხიათ, პირიქით მე მათგან მაქვს ...
საბუთი ხელში, სადაც ისინი სრულ...
ყოფილებას აცხადებენ ანგარიშზე.

კანონიერი მემკვიდრენი ასე იქც...
თქვენ კი მოქ. ბალოშვილო ვისი ...
ლებით მოქმედებთ? ვინ დაგავ...
ჩემზე ცილისწამება?

პასუხი ამ კითხვებზე ერთია: ...
გამოქმედებთ საზიზღარი უმართებ...
იქვიანობა და ანგარებიანი სარჩ...
ბუნება. ყველა ამის გამო მე თქვენ ...
მედიატორო სასამართლოზე უარს ...
ცხადებ მანამ, სანამ თქვენ არ წარ...
მიდგენთ წერილობით საბუთს შეს...
იმისა, რომ თქვენ ბრძანდებით კანო...
ერი მემკვიდრე განსვენებულისა ან ...
ნონიერ მემკვიდრეთა რწმუნებულ...
იყვნეთ წარმომადგენელი ასეთი სა...
და მე დიდი სიამოვნებით გაგყვ...
ყოველგვარ სასამართლოში, მით უმ...
რომ იქ საშვალება მომეცემა საბუთ...
და მოწმეების დაკითხვით, ნათელ...
თქვენი ანგარებით გამოწვეული ცი...
წამებლობა.

სანამ კი რწმუნების ქაღალდი არ...
მოვიდა ნება გვიბოძეთ თქვენს ის...
რიულ კივილს სიჩუმით ვუპასუხო.

გაზრიელ ნაზაროვი.

P. S. ყოველ შემთხვევაში თუ ...
მედიატორო სასამართლო შესდგება (...
თქვენზე დამოკიდებული) ის უნდა ...
სდგეს იმ ადგილას, სადაც აწერ...
ფაქტს „ქონდა“ ადგილი და სად...
მოწმენიც იმყოფებიან—ე. ი. ბათუმში.

გ. ნაზაროვი.

---

*) ეს წერილი დაგვიანებით იბეჭდება.

---

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემელი დრ. მთავარი კომიტეტისა.

---



**ვანო გიგოშვილმა**

დასწერა ახალი პიესა ბოლშევიკების შემოსვლა ტფილისში ვაჭრების ოცნება კონსტანტინოპოლში გამგზავრება კომედია 3 მოქმედებათ ამ მოკლე ხანში დაიდგმება სცენაზე.

1038 ვანო გიგოშვილი.

**დავკარგე** პირადობის მოწმობა № 3059 მიცემული ტფილისის სომხის კონსულიდან რაც ითვლება გაუქმებულად. 1039

**კბილის ექიმი**

**აპოლონ ურუშაძე**

განაახლა ავადმყოფების მიღება

9—1 ს. და 4—7 ს.

ხებუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

**ექიმი**

**ი. ვ. აბაკელ...**

შინაგანი ავადმყოფობა გან...
ბით ავადმყოფობანი გულ...
ფილტვებისა, სასუნთქავისა ...
სა და გულ.ს ავადმყოფობის...
ყოველ დღე გარდა კვირისა.
4 ნახ —6 საათამდე. მამადავ...
№ 8 ბინა 5 (გოლოვინის პრ...

## „ფქვილი და შაქარი“

ჩამოვედი კონსტანტინეპოლიდან ვღებულობ (ზაკაზებს) დანაკვეთას შაქრისას და ფქვილისას და აგრეთვე სხვა და სხვა საჭირო სანოვაგისას, თეთრი კანადის ფქვილის ჩავაბარებ ბათომში ფუთს 2 ლირად გადაფქვილს ფუთს 1 ლირა 60 პიასტრად. აგრეთვე ვაცნობებ ქართველ მრეწველთ და ვაჭართ, რომ კონსტანტინეპოლიდან გამოტანა ყოველი სანოვაგისა ნება დართულია და არავითარი დაბრკოლება მათ არ ელობებათ: ხმები ვითომც ინგლისური და სხვა. აბრკოლებდნენ საქონლის გამოტანას, სიმართლეს არ შეესაბამება. ამას ავრცელებენ ზოგიერთი ვაჭრები, რომ მათ კონკურენტი არ ეყოლოთ.

1042 დავით ქებაძე.